

როგორ მოვემზადოთ ერთიანი
ეროვნული გამოცდებისათვის

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი
გეოგრაფიის ჯგუფი

თბილისი

2021

ს ა რ ზ ე ვ ი

შესავალი.....	3
2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამა გეოგრაფიაში.....	4
ტესტური დავალებების ტიპები.....	8
ტესტის ნიმუში.....	11
შეფასების სქემა.....	51
აპლიკანტთა ნაშრომების ანალიზი.....	57

შესავალი

კრებული შედგენილია მათთვის, ვინც 2021 წელს აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდას გეოგრაფიაში. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა, ტესტის დავალებათა აღწერილობა, 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გამოყენებული ტესტი და შეფასების სქემა. აგრეთვე, აბიტურიენტების მიერ შესრულებული კონკრეტული დავალებების ანალიზი.

2021 წლის საგამოცდო პროგრამაში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები (იხ. საგამოცდო პროგრამა).

აბიტურიენტებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ თითოეული ტესტის დავალების ინსტრუქცია, მაქსიმალური სიზუსტით დაიცვან დავალებათა სწორად შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დახმარებას გაგიწევთ 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის მომზადების პროცესში.

საგამოცდო ტესტში არ გამეორდება კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გ ი ს უ რ ვ ე ბ თ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს !

საგამოცდო კრებულები წარმოადგენს ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით გავრცელება (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე. იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამა გეოგრაფიაში

გეოგრაფიის გამოცდაზე მოწმდება შემდეგი უნარები:

- სივრცეში ორიენტირება;
- ინფორმაციის ორგანიზება;
- თვალსაჩინოებების გამოყენება, შექმნა და ანალიზი;
- გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა;
- საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხს შორის კავშირების დადგენა.

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. გეოგრაფიის შესავალი	
გეოგრაფიის მეცნიერების შესავალი, სტრუქტურა და კვლევის საგანი	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები; • გეოგრაფიის მეცნიერების სტრუქტურა და ცალკეული მიმართულებების დეფინიციები; • გეოგრაფიის კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერითი, შედარებით-გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და უახლესი (მათემატიკური, აეროკოსმოსური).
რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ტიპის რუკები (რუკის კითხვა, ლეგენდა, მასშტაბი და მისი სახეები, ორიენტირება, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, ეკვატორი, პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, გეოგრაფიული კოორდინატები, აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები, საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტაცია, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა); • დავალებების შესრულება სხვადასხვა ტიპის რუკის, მათ შორის ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით. მოცემული ინფორმაციის სხვა სახით (განსხვავებულ ფორმატში) გამოხატვა; • სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, გრაფიკი) გამოყენება, ინფორმაციის ანალიზი, ამოცანების გადაჭრა და მარტივი ანალოგების შექმნა; • სქემების, ცხრილების, გრაფიკებისა და დიაგრამების შექმნა; • საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენკლატურა (მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები - მსოფლიო ოკეანის ნაწილები, კონტინენტები და მისი ნაწილები, რელიეფის ძირითადი ფორმები, შიდა წყლები); • სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები: კომპასი, თერმომეტრი, ბარომეტრი, ფლუგერი, ანემომეტრი, ჰიგრომეტრი, სეისმოგრაფი, ექოლოტი, თანამედროვე სანავიგაციო სისტემები.
2. საბუნებისმეტყველო გეოგრაფია:	
პლანეტა დედამიწა	<ul style="list-style-type: none"> • დედამიწის ფორმა და სიდიდე; • დედამიწის დედამური და წლიური მოძრაობა; • სასაათო ზონები და თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი.
რელიეფი	<ul style="list-style-type: none"> • ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმომქმნელი პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები;

	რელიეფის გავლენა კლიმატსა და მეურნეობაზე.
ამინდი და კლიმატი	<ul style="list-style-type: none"> ამინდი და ამინდის კომპონენტები; მზის რადიაცია, ჰაერის ტემპერატურა, ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანიდან დაშორების მიხედვით; ატმოსფერული წნევა; ჰაერის ტენიანობა; სხვადასხვა ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ფიონი); ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი, ჭირხლი); კლიმატი და კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები, კლიმატის გავლენა ადამიანზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე).
შიდა წყლები	<ul style="list-style-type: none"> მდინარის აუზი და მისი ნაწილები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები, ჭაობები, მიწისქვეშა წყლები (საზრდოობა და რეჟიმი, გავლენა მეურნეობაზე).
ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> ბუნებრივი რესურსების გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია და რაციონალური გამოყენება (კლიმატური, მიწის, მზისა და ქარის რესურსები, მინერალური წყლები, სასარგებლო წიაღისეული, ბუნების დაცვა).
გლობალური გეოგრაფიული პროცესები	<ul style="list-style-type: none"> კლიმატის გლობალური ცვლილებები; გლობალური და რეგიონალური მასშტაბის სტიქიური მოვლენები. მდგარადი განვითარება
3. საზოგადოებრივი გეოგრაფია:	
მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია და დემოგრაფია	<ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული ვითარება ისტორიული წარსულიდან დღემდე, დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობის, მოკვდავობის, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტები), მოსახლეობის კვლავწარმოების (აღწარმოების) ტიპები და მსგავსება-განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა; მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიგრაცია (ტიპები, ფაქტორები); განსახლების ტიპები და ურბანიზაცია.
დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები	<ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი გეოგრაფიული აღმოჩენები: მარკო პოლო, ქერისტეფორე კოლუმბი, ფერნანდო მაგელანი, ვასკო და გამა, ამერიგო ვესპუჩი, ახელ ტასმანი, ჯეიმს კუკი; ვახუშტი ბაგრატიონი.
მსოფლიოს პოლიტიკური რუკა	<ul style="list-style-type: none"> პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები.
ქვეყნების კლასიფიკაცია	<ul style="list-style-type: none"> მმართველობის ფორმისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი, მშპ).

საერთაშორისო ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> • გაერო (სპეციალიზებული ორგანიზაციები), ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, წითელი ჯვარი, ბისეკი, სოკი, ოპეკი, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია.
მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> • მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო.
მსოფლიოს რეგიონები და ქვეყნები	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნების (აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, სარ-ი, ავსტრალია, ბრაზილია, საუდის არაბეთი) მდებარეობა, ბუნება, მმართველობის ფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა, მეურნეობა, ეკონომიკური ცენტრები და ეკონომიკური მაჩვენებლები, კულტურული მრავალფეროვნება; • რეგიონების დასახელება და შემაჯავლი ქვეყნები, მდებარეობა და საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა; • მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული); • საქართველო და მსოფლიო (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული ურთიერთობები).
4. საქართველოს გეოგრაფია:	
საქართველოსა და კავკასიის მდებარეობა	<ul style="list-style-type: none"> • საზღვრები, ფართობი, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფა, ადმინისტრაციული დაყოფა, მმართველობის ფორმა; • ევროპა-აზიას შორის საზღვრის გატარების ვერსიები;
საქართველოს ბუნების კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> • რელიეფის ძირითადი ფორმები და ტიპები; • ატმოსფეროს ცირკულაციის ძირითადი თავისებურებები; • ჰავის ძირითადი ელემენტები; • შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები, ჭაობები); • შავი ზღვა; • ფლორა და ფაუნა; • ტყის ფონდი; • ნიადაგის ტიპები და გეოგრაფია.
საქართველოს ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსების გეოგრაფია (სათბობ-ენერგეტიკული, შავი და ფერადი ლითონები, საშენი მასალები, მინერალური და თერმული წყლები).
გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები	<ul style="list-style-type: none"> • ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურება; • მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა.
ბუნების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> • დაცული ტერიტორიები, დაცული ტერიტორიების ტიპები, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის განსაკუთრებული ობიექტები, წითელი წიგნი, წითელი ნუსხა.
საქართველოს მოსახლეობა	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის დინამიკა, ტერიტორიული განლაგება; • ქალაქებისა და სოფლების გეოგრაფია, ურბანიზაცია;

	<ul style="list-style-type: none"> • დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები; • მოსახლეობის სტრუქტურა (სქესობრივ-ასაკობრივი, ეთნიკური, რელიგიური).
საქართველოს მეურნეობა	<ul style="list-style-type: none"> • მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო.
საქართველოს რეგიონები	<ul style="list-style-type: none"> • თბილისი, კახეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, გურია, აჭარა, აფხაზეთი (მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, ღირსშესანიშნაობები, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები).

ტესტური დავალებების ტიპები

დავალების I ტიპი

- *კითხვა არჩევითი პასუხებით*

დავალების აღწერა და ინსტრუქცია - დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი უნდა გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

დავალების პირობა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, მოცემულია მოკლე ან მეტ-ნაკლებად ვრცელი შეკითხვა, მოკლე ტექსტი, ფოტო, სურათი, სქემა, გრაფიკი ან დიაგრამა, სხვადასხვა სახის რუკა ან რუკის ფრაგმენტი და ა.შ.

მოწმდება: ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნა; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა; რუკის კითხვა და გამოყენება.

შეფასება: თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუშები იხილეთ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.

დავალების II ტიპი

- რუკის ანალიზი

დავალების აღწერა და ინსტრუქცია - დავალებაში მოცემულია რუკები (კონტურული, ფიზიკური, ტოპოგრაფიული და სხვ.), ყურადღებით უნდა შეისწავლოთ ისინი და უპასუხოთ კითხვებს. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას.

მოწმდება: რუკის ლეგენდის გამოყენების, რუკის მეშვეობით ადგილზე ორიენტირების, უმოკლესი ან ხელსაყრელი მარშრუტების განსაზღვრის; ადგილის დახასიათების; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლების დადგენა/განსაზღვრის; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზის; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების; რუკის მიხედვით კონკრეტული ამოცანების ამოხსნის უნარი.

შეფასება: ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ნიმუშები იხილეთ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.

დავალების III ტიპი

- ინფორმაციის ანალიზი

დავალების აღწერა და ინსტრუქცია - დავალებაში შეიძლება მოცემული იყოს ტექსტი, ფოტო, რუკა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა და სხვა თვალსაჩინოება, რომელშიც მოცემულია გარკვეული გეოგრაფიული ინფორმაცია. მოგეთხოვებათ მოცემული ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მაგ.; ცხრილის საშუალებით მოცემული ინფორმაციის გამოხატვა გრაფიკულად) და ანალიზი. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ ადგილზე (მაგ.; თუ დავალების პირობით მოთხოვნილი იქნება დიაგრამის ან გარფიკის აგება, მაშინ პასუხების ფურცელში მოცემული იქნება საკოორდინატო სისტემის მატრიცა, რომელზეც უნდა ააგოთ გრაფიკი/დიაგრამა).

მოწმდება: რუკის კითხვის, მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების კითხვისა და შედგენის, მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარი; კონკრეტული გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრის, საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების; ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების; პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარი.

შეფასება: ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ნიმუში იხილეთ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართული ტესტში.

შენიშვნა:

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გეოგრაფიის ტესტს დართული ექნება ის აუცილებელი რუკები, რომლებიც აბიტურიენტს დაეხმარება უკეთ გაართვას თავი ტესტში დასმულ ამოცანებს.

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



- კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-18.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რომელი გეოგრაფიული კოორდინატები შეესაბამება ქალაქ ველინგტონს?

ა) ს.გ. $41^{\circ}17'20''$ და ა.გ. $174^{\circ}46'38''$;

ბ) ჩ.გ. $41^{\circ}17'20''$ და ა.გ. $174^{\circ}46'38''$;


გ) ჩ.გ. $41^{\circ}17'20''$ და დ.გ. $174^{\circ}46'38''$;

დ) ს.გ. $41^{\circ}17'20''$ და დ.გ. $174^{\circ}46'38''$.

2. რაში მდგომარეობს ფერნანდო მაგელანის ექსპედიციის განსაკუთრებული გეოგრაფიული მნიშვნელობა?

- ა) განსაზღვრა თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზის მდებარეობა;
- ბ) დაამტკიცა მსოფლიო ოკეანის ერთიანობა;
- გ) გაზომა სამხრეთ ტროპიკის მთლიანი სიგრძე;
- დ) შეისწავლა წყნარი ოკეანის წყლის თვისებები.


3. რომელ ილუსტრაციაზეა დასათაურებული ატმოსფეროს შემადგენელი ფენები სწორი თანმიმდევრობით?



4. რომელ ილუსტრაციაზეა ნაჩვენები ენდოგენური ძალების მოქმედების შედეგად წარმოქმნილი რელიეფის ფორმა?




5. რომელ დასახლებულ პუნქტშია მზის ნათების ხანგრძლივობის უფრო დაბალი მაჩვენებელი?



- ა) ამბროლაურში;
- ბ) ტყიბულში;
- გ) ცხინვალში;
- დ) ბაკურიანში.

6. რომელი დიაგრამა შეესაბამება ქ. ახალქალაქის კლიმატურ მონაცემებს?



7. რომელ კლიმატურ სარტყელშია ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა მინიმალური?

ა) ზომიერში;

ბ) სუბტროპიკულში;

გ) ტროპიკულში;

დ) ეკვატორულში.

8. რომელია მცდარი დებულება:

- ა) დედამიწის გეოგრაფიული და მაგნიტური პოლუსები ერთმანეთს არ ემთხვევა;
- ბ) დედამიწაზე დღე-ღამის მონაცვლეობას თავისი ღერძის გარშემო ბრუნვა განაპირობებს;
- გ) დედამიწა თავისი ღერძის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ბრუნავს;
- დ) კომპასის ისარი ორიენტირებულია დედამიწის გეოგრაფიული პოლუსებისკენ.

9. რომელ ქალაქში არ ქრის ბრიზი?

ა) ჩიკაგოში;

ბ) ბერლინში;

გ) ბაქოში;

დ) ბათუმში.

10. რომელი ბუნებრივი რესურსი არ გვხვდება კახეთში?


ა) ნავთობი;

ბ) სამკურნალო ტალახი;

გ) ტყვია-თუთია;

დ) მარმარილო.

11. მოსახლეობის დინამიკის რუკის (1990-2004 წწ.) მიხედვით, ქვემო ქართლის რომელ მუნიციპალიტეტებში შეინიშნებოდა მოსახლეობის ზრდა?



- ა) მარნეულისა და ბოლნისის;
- ბ) წალკისა და დმანისის;
- გ) დმანისისა და ბოლნისის;
- დ) გარდაბნისა და მარნეულის.

12. რამ განაპირობა ანაკლიის აკვატორიის შერჩევა პორტის მშენებლობისთვის?

- ა) დიდი მოცულობის (წყალწყვის) გემების მიღების შესაძლებლობამ;
- ბ) თბილისთან სიახლოვემ;
- გ) ზღვის ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებამ;
- დ) განვითარებულმა ინფრასტრუქტურამ.

13. საქართველოს რომელ აეროპორტს არ აქვს საერთაშორისო სტატუსი?

ა) მესტიის;

ბ) ბათუმის;

გ) ქუთაისის;

დ) თბილისის.

14. დასავლეთ საქართველოში რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალს შეუქმნა განსაკუთრებული პრობლემა 2016-2018 წლებში აზიურმა ფაროსანამ?

ა) ხორბლის;

ბ) თხილის;

გ) ყურძნის;

დ) ტყემლის.

15. რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში დაიწყო სამთო-სათხილამურო ტურიზმის მიმართულების განვითარება XXI საუკუნეში?

ა) სამეგრელოში;

ბ) აჭარაში;

გ) იმერეთში;

დ) კახეთში.

16. რომელი რეგიონიდან წამოსული არალეგალი მიგრანტების დიდი ნაკადის შეკავების მცდელობას უკავშირდება აშშ-მექსიკის საზღვარზე აშშ-ის მთავრობის მიერ კედლის მშენებლობის გადაწყვეტილების მიღება?

ა) სამხრეთ-დასავლეთი აზიიდან;

ბ) ეკვატორული აფრიკიდან;

გ) ცენტრალური ამერიკიდან;

დ) სამხრეთი ევროპიდან.

17. რომელი სახელმწიფოს შავი მეტალურგიაა უფრო მეტად დამოკიდებული ნედლეულის იმპორტზე?

ა) რუსეთის;

ბ) ბრაზილიის;

გ) იაპონიის;

დ) ჩინეთის.

18. რომელ კონტინენტზე არ მდებარეობს ოპეკის წევრი სახელმწიფო?

ა) აფრიკის;

ბ) აზიის;

გ) სამხრეთი ამერიკის;

დ) ჩრდილოეთი ამერიკის.

- რუკის ანალიზი - დავალება № 19-20.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

19. (8 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



1. ჩრდილო-დასავლეთი
2. სამხრეთ-დასავლეთი
3. სამხრეთ-ცენტრალური
4. ჩრდილოეთი
5. ჩრდილო-აღმოსავლეთი
6. აღმოსავლეთი



გადასვლა კითხვებზე

20. (5 ქ.) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

20.1. (1 ქ.) ჩამოთვლილთაგან რომელი მთაა უფრო დაბალი?


- ა) მ. შოდას; ბ) მ. ქანორის; გ) მ. ხალთას; დ) მ. მუხის.

20.2. (1 ქ.) დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. შოდადან მ. ქანორი?

- ა) 48° ; ბ) 105° ; გ) 140° ; დ) 254° .

20.3. (1 ქ.) ახსენით, გამოჩნდება თუ არა სოფ. ხალთას სკოლის ეზოდან A წერტილი.

20.4. (2 ქ.) სოფ. ხალთას სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მდ. სოთაზე საბანაოდ წასვლა. საბანაო ადგილის შერჩევასა აზრი ორად გაიყო. მოსწავლეთა ერთი ნაწილი A წერტილის მიდამოს ანიჭებდა უპირატესობას, მეორე - B-ს. რუკაზე მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ ორი მიზეზი, რომელთა გამოც A წერტილის მიდამოს მიანიჭებდით უპირატესობას.



რელიეფი

ბირთვული პორიზონტალები გავლებული ყოველ 5 მეტრში

ა) ბირთვული პორიზონტალები
 ბ) ბირთვული გამსხვილებული პორიზონტალები
 გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
 დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
 ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბურჰმეტრისები)

• 213,8 • 212,8

ღ III,9 170,0

ა) ცალკე მდგომი ქვები
 ბ) ქვათაგროვა

ფორღანები
 ორმოები

ფლატე (ბეჭი) (16-ხრამის სიღრმე მ-ში)

ხრამები და დარტყვები

მცენარეული საფარი და ბრუნტი

წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეუბის მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე, 0.20-მეტრის საშუალო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ტყის ვიწრო ზოლები და დაცვითი ტყის ნარგავები (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)
 ცალკეული კორმოები

ორიგენტის მწიშნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფართოფოთლოვანი

ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე ახალი ტყის ნარგავების სიმაღლე 4 მ-მდე (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)

ა) ქარქვეული ტყე ბ) მუხხერი ტყე

ა) გაჩეხილი ტყე ბ) გადამწვარი და ძირზემხარი ხეები

განაჩეხი ტყეში
 4 განაჩეხის სიგანე მ-ში

ბუნქნარი ა) ცალკე მდგომი ბუნქნები და ბუნქნების დაჯგუფებები; ბ) სპირი ბუნქნარი

ა) მდელის მცენარეულობა
 ბ) ლელქაშის და ლერწმის ტიპის საფარი

ხეხილის ბაღი

ქვიშნარი

გაუქვლი და მქვადგასაქვლი ჭაობები (0.7-ჭაობის სიღრმე მ-ში)

ადვილადგასაქვლი ჭაობები

საბზაო ქსელი

ორლიანდაგიანი რკინიგზა, სადგურები

ერთლიანდაგიანი რკინიგზა
 ბაქნები, გზაგასაყარები

მიწაყრილებზე (ა) და ჩაღრმავებებში (ბ) გაყვანილი რკინიგზები (2-სიმაღლე ან სიღრმე მ-ში)

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე ხანიაღვრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა) (ა-საფალტი, ქვ-ქვაყვანილი)

გზატკეცილი
 გაუმჯობესებული გზის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით

გზის გზები
 მინდვრის და ტყის გზები

ზამთრის გზები
 ფისფინილი (ჭაობზე გადასასვლელად)

რკინიგზაზე გადასასვლი გზატკეცილები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები ცალკეული უმრავლესობის შემთხვევაში

საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები

გამორჩეულად ცალკე მდგომი კარმიდამოები ეკლესიები

კვარტლები

ცვცვლაგამდე ნაგებობების სიჭარბით

არაცვცვლაგამდე ნაგებობების სიჭარბით

გოში

ახალდაბა

ცაცხვანა

ნაკვეთი

ქალაქები - 2000-დან 10 000-მდე მცხოვრებით

დაბლები - 2000-ზე ნაკლები მცხოვრებით

სოფლები 20-დან 1000-მდე სახლების რაოდენობით

სოფლები 20-ზე ნაკლები სახლით

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები

ქარხნები და ფაბრიკები

მოქმედი მდარობები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები თხს- მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

ტორფის მოპოვება

საწვავის საწვობები

რადიონახები და სატელევიზიო ანძები

წყლის წისქვილები

ქარის წისქვილები

საფურტკრები

ანძის ტიპის ნაგებობები

მეტრევის სახლები

სატელევიზიო სადგურები

მეტეოროლოგიური სადგურები

ღირშესანიშნავი ძეგლები

სასაფლაოები

კემპირგაბმულობის საზები

ხის საყრდენებიანი ელექტროგადამცემი საზები

30მ(ობრავო)

მდინარეები, ნაკადულები, ტბები

შრობადი ნაკადები

წყლის კოდის ნიშნულები

ისრები უქვანებენ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 285-სიგანე და 4.8 სიღრმე მ-ში; ქ - ფსკერის გრუნტის ტიპი

ფორები და მათი მახასიათებლები: 0.5 სიღრმე და 17 სიგრძე მ-ში, ქ-ფსკერის გრუნტის ტიპი, 0.1 - დინების სიქარე მ/წმ

ბორები: 285 - მდინარის სიგანე, 5X4-ბორის ზომები მეტრებში, 5 - ტვირთამწვობა ტონებში

ხის ხიდები
 რკინის ხიდები
 ქვის და რკინაბეტონის ხიდები

ხიდების მახასიათებლები: ქვა-საშენებლო მასალა, 8 სიმაღლე წყლის დონიდან, 170 - ხიდის სიგრძე, 8 -სავალი ნაწილის სიგანე მ-ში, 50 - ტვირთამწვობა ტონებში

სანაპირო სამდინარო სიგნალიზაციის მუდმივი ნიშნულები

ნავსაყვადი კაშხლები

ჭები

ქარის ძრავიანი ჭები

წყარობები

სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები იგივე ნიშნულები ყორღანებზე

ტ(ო)ბრავოულ რუკაზე მიღებული შიშ(ო)კლემპები


ა	ახალტი	აქ	აგურის ქარხანა
ა	ჯიხური	აქ	ფქვილის ქარხანა
რ.ქ.	რეისი ქვა	ტბრ	ტბორი
არ.ყ.	არეის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფი.ბ.	ფიჭვის ხე	წ	წყარო
ნ.ა.ძ.	ნადის ხე	სს	სასოფლო საკრებულო
წ.ს.	წყალსაქანი	მყ	მყარი
თის	თიხა	კრ.მ.	კრამიტის ქარხანა
სჭ	საორიენტაციო ჭა	ს.კ.	სკოლა
ყ.ა.	ყაზარმა	ლ.	ლაში
		ნ.ა.ბ.	ქვანახშირი

- ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 21-29.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

21. (1 ქ.) რა პროცესია ნაჩვენები სქემაზე?



22. (1 ქ.) რა გეოგრაფიული პრინციპით იხელმძღვანელებს ილუსტრაციაზე ნაჩვენები ცხოველების დაჯგუფებისას?



თეთრი დათვი




საიმპერატორო პინგვინი



კარიბუ

23. (1ქ.). ახსენით, დასჭირდება თუ არა ავსტრალიის ქალაქ პერთიდან ჩინეთში სამოგზაუროდ ჩასულ ტურისტს საათზე დროის შეცვლა (საათის ისრის გადაწევა).




24. (2 ქ.) ილუსტრაციების გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს (გაითვალისწინეთ, რომ მოცემული ფოტოები გადაღებულია ერთ დღეს):



24.1. (1 ქ.) რომელი გეოგრაფიული მოვლენაა გამოსახული ილუსტრაციებზე?

24.2. (1 ქ.) რა განაპირობებს ილუსტრაციებზე გამოსახულ მოვლენას?

25. (2 ქ.) გაანალიზეთ N სახელმწიფოს დემოგრაფიული (სქესობრივ-ასაკობრივი) პირამიდა და უპასუხეთ კითხვებს:




25.1. (1 ქ.) რა ზოგადი ტენდენცია შეინიშნება სქესობრივი ბალანსის თვალსაზრისით N სახელმწიფოში?

25.2. (1 ქ.) მოსახლეობის როგორი აღწარმოების ტიპია დამახასიათებელი ამ სახელმწიფოსთვის?


26. (3 ქ.) გაანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:

მოცემულია პაულო ტოსკანელის მიერ 1474 წელს შექმნილი ატლანტის ოკეანის რუკა. ღია ცისფერით დამატებულია ჩრდილოეთი ამერიკის თანამედროვე რუკა.




- 26.1. (1 ქ.) რომელმა გენუელმა ზღვაოსანმა იხელმძღვანელა ამ რუკით თავისი მოგზაურობის დაგეგმვისას?
- 26.2. (1 ქ.) რა იყო ამ მოგზაურის მიზანი?
- 26.3. (1 ქ.) რომელი ევროპული სამეფოს ტერიტორიად გამოცხადდა ამ მოგზაურობის დროს აღმოჩენილი ახალი მიწები?

27. (3 ქ.) გაანალიზეთ საქართველოს მშპ-ის მონაცემები და უპასუხეთ კითხვებს:



დიაგრამა 1.




დიაგრამა 2.

27.1. (2 ქ.) მშპ-ს რა მონაცემებია მოცემული თითოეულ დიაგრამაზე?

27.2. (1ქ.) დიაგრამებზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ახსენით, როგორ შეიძლება დავადგინოთ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლისთვის.

28. (7 კ.) გაანალიზეთ რუკები და უპასუხეთ კითხვებს:



რუკა 1.




რუკა 2.

- 28.1. (1 ქ.) რა სახელით არის ცნობილი რუკა 1-ზე წყნარი ოკეანის პერიმეტრზე მოცემული არეალი?
- 28.2. (1 ქ.) დაასათაურეთ რუკა 2.
- 28.3. (3 ქ.) რომელი სამი ფილა არ მონაწილეობს რუკა 1-ზე მოცემული არეალის ფორმირებაში?
- 28.4. (2 ქ.) დაასახელეთ ორი ბუნებრივ-სტიქიური მოვლენა, რომლებიც წარმოიქმნება ფილების ურთიერთქმედების შედეგად რუკა 1-ზე მოცემული არეალის ფარგლებში.


29. (9 კ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკა
2007-18 წწ. (დიაგრამა 1.)




გადასვლა [დიაგრამა 2-ზე](#); [დიაგრამა 3-ზე](#); [კითხვებზე](#)

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა
თვეების მიხედვით 2018 წელი (დიაგრამა 2.)



გადასვლა [დიაგრამა 1-ზე](#); [დიაგრამა 3-ზე](#); [კითხვებზე](#)

ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2018 წელი (დიაგრამა 3.)



[გადასვლა დიაგრამა 1-ზე](#); [დიაგრამა 2-ზე](#); [კითხვებზე](#)

- 29.1. (1 ქ.) 2018 წლის რომელ პერიოდში აჭარბებდა უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა ადგილობრივ ვიზიტორთა რიცხვს?
- ა) იანვარ-მარტი; ბ) აპრილ-ივნისი; გ) ივლის-სექტემბერი; დ) ოქტომბერ-დეკემბერი.
- 29.2. (1ქ.) დიაგრამა 2-ის მიხედვით, რომელ თვეშია ადგილობრივი ვიზიტორების უფრო მაღალი ხვედრითი წილი?
- ა) იანვარში; ბ) მარტში; გ) მაისში; დ) დეკემბერში.
- 29.3. (1ქ.) დაასახელეთ დიაგრამა 3-ზე მოცემული ოთხი დაცული ტერიტორია, რომლებიც აჭარის ფარგლებში მდებარეობს.
- 29.4. (2ქ.) რომელი დიაგრამის საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა დინამიკის შესახებ და რა ტენდენცია შეინიშნება წლების მიხედვით?
- 29.5. (2ქ.) დაასახელეთ იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებში მდებარე მღვიმე, რომელიც ყველაზე ნაკლებმა ვიზიტორმა მოინახულა 2018 წელს და ახსენით ამის მთავარი მიზეზი.
- 29.6. (2ქ.) დაასახელეთ ორი დაცული ტერიტორია, რომლებიც გადამფრენი ფრინველებისთვის, საქართველოს ფარგლებში ძირითად, სატრანზიტო / მოსასვენებელ ადგილს წარმოადგენს.

[გადასვლა დიაგრამა 1-ზე; დიაგრამა 2-ზე; დიაგრამა 3-ზე](#)

დავადგენის #	გეოგრაფია შეფასების სქემა და სწორი პასუხების ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 60	ქულა
1	ა	1
2	ბ	1
3	გ	1
4	ბ	1
5	ბ	1
6	დ	1
7	დ	1
8	დ	1
9	ბ	1
10	გ	1
11	დ	1
12	ა	1
13	ა	1
14	ბ	1
15	ბ	1
16	გ	1
17	გ	1
18	დ	1
19.1	ბ	1
19.2	დ	1
19.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>✓ რადგან ეს ქალაქი გახდა ახალი კორონავირუსის (COVID19) გავრცელების კერა.</p>	1
19.4	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>✓ ტიბეტის ავტონომიური რესპუბლიკა.</p>	1

დავალების #	გეოგრაფია შეფასების სქემა და სწორი პასუხების ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 60	ქულა
19.5	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული ქალაქი ფასდება 1 ქულით; • სწორად დასახელებული მდინარე ფასდება 1 ქულით; <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ქ. შანხაი (1 ქ.); ✓ მდ.იანძი (1 ქ.). 	2
19.6	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული ქალაქი ფასდება 1 ქულით; • სწორად დასახელებული სახელმწიფო ფასდება 1 ქულით; <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ჰონკონგი (1 ქ.); ✓ გაერთიანებული სამეფო (1 ქ.). 	2
20.1	ა	1
20.2	ბ	1
20.3	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ არ გამოჩნდება რადგან მას ქედი ეფარება. 	1
20.4	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • თითოეული სწორად დასახელებული მიზეზი ფასდება 1 ქულით; <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ A წერტილამდე მისასვლელ გზაზე არ არის დაბრკოლებები; ✓ A წერტილი მდებარეობს ქვიშნარ ადგილზე. 	2

დავადგენის #	<p style="text-align: center;">გეოგრაფია შეფასების სქემა და სწორი პასუხების ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 60</p>	ქულა
21	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>✓ <i>სქემაზე ნაჩვენებია წყლის დიდი წრებრუნვა.</i></p>	1
22	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>✓ <i>გეოგრაფიული ზონალურობა.</i></p>	1
23	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>✓ <i>ტურისტმა საათი არ უნდა გადაწიოს მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი 5 სასაათო სარტყელშია, მთავრობის გადაწყვეტილებით, მთელ ქვეყანაში მოქმედებს მერვე სასაათო სარტყლის დრო, ხოლო ქ. პერთი ასევე მერვე სასაათო სარტყელში მდებარეობს.</i></p>	1
24.1	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>✓ <i>ნაჩვენებია მიქცევა-მოქცევა.</i></p>	1
24.2	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>✓ <i>მთვარის მიზიდულობა.</i></p>	1
25.1	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>✓ <i>თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჭარბობენ მამაკაცები.</i></p>	1

დავადგენის #	<p style="text-align: center;">გეოგრაფია შეფასების სქემა და სწორი პასუხების ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 60</p>	ქულა
25.2	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>✓ <i>გაფართოებული აღწარმოება.</i></p>	1
26.1	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>✓ <i>ამ რუკით მოგ ზაურობისას იხელმძღვანელა ქრისტეფორე კოლუმბმა.</i></p>	1
26.2	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>✓ <i>ესპანეთიდან ინდოეთისკენ მიმავალი დასავლეთის საზღვაო გზის ძიება.</i></p>	1
26.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>✓ <i>აღმოჩენილი მიწები ესპანეთის სამეფოს საკუთრებად გამოცხადდა.</i></p>	1
